



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი



N 147/01-15



20/07/2020

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს,

ასლი : აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს,
ბატონ ჯაბა ფუტყარაძეს

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი 03.07.2020 წლის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს განსხვავებულ რეჟიმში უწევს მუშაობა. 2020 წლის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა მხოლოდ იანვარ - თებერვლის პერიოდში შეძლო. მარტიდან მსოფლიო პანდემიისა და საქართველოში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო ცვლილებები განხორცილდა პროგრამებში და ღონისძიებებში და დეპარტამენტი შეცვლილი პროგრამული ბიუჯეტით აგრძელებს მუშაობას.

2020 წელი რეგიონმა მზარდი ტურისტული დინამიკით დაიწყო. აჭარის ადმინისტრაციული საზღვრების მონაცემებით, 2020 წელს 2 თვის განმავლობაში რეგიონში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები შეადგენდა - 169'910 ვიზიტს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით გაზრდილია + **12.9 %** - ით. მატება გვქონდა ბათუმის აეროპორტის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელშიც (ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები) + **38.8 %** - ით (2 თვე).

თებერვლის ბოლოდან, როგორც ყველასთვის ცნობილია, ტურიზმის, ავიაციისა და ეკონომიკის სფერო განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა მსოფლიოს ახალ პანდემიად გამოცხადებული კორონავირუსის გამო. შეჩერდა ფრენები ქვეყნებს შორის და შეიზღუდა მოგზაურობა. რა თქმა უნდა, კორონავირუსმა ჩვენი ქვეყნის

ტურიზმის სფეროზე იქონია გავლენა და ტურიზმის სექტორი მუშაობის უკვე განსხვავებულ ეტაპზე გადავიდა.

თებერვლის ბოლოდან, მას შემდეგ რაც პირველი კორონავირუსის შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოში, ეტაპობრივად დაიწყო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლის შეზღუდვა საზღვრებზე. პარალელურად კი საქართველოს მოქალაქეებისა და ქვეყანაში მყოფი უცხოელი მოქალაქეების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების გატარება. მთელს მსოფლიოში შეიცვალა რეალობა და ტურიზმის სექტორი გადავიდა მუშაობის ახალ დღის წესრიგზე. ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება და პრემიერ-მინისტრთან არსებული კორონავირუსის მართვის საკოორდინაციო საბჭოს და აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად დაევალა აჭარის რეგიონში საკარანტინე ზონების შერჩევა, მოწყობა და მართვა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ბიუჯეტსა და პროექტებში შევიდა ცვლილებები და მოერგო არსებულ მდგომარეობას. განისაზღვრა მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, რომელზეც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აგრძელებს მუშაობას. კერძოდ:

1). აჭარის რეგიონში საკარანტინე ზონების შერჩევა, მოწყობა და მართვა - მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ახალი კორონავირუსის მასშტაბური გავრცელების პრევენციის მიზნით ტურიზმის დეპარტამენტმა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან ერთად მოახდინა 45 საკარანტინო ზონის შერჩევა, სასტუმრო პერსონალის გადამზადება, სატუმროების და იქ არსებული სერვისების ადაპტირება ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა მართვის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების მიხედვით.

ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით, აჭარის რეგიონში სულ მოწყობილია 32 საკარანტინე ზონა. საკარანტინე ზონების მომსახურებით რეგიონში დღემდე ისარგებლა 13074 - მა მოქალაქემ, რომელთაგანაც 10760- მა მოქალაქემ დაასრულა კარანტინი და დაუბრუნდა ოჯახს, ხოლო 2314 მოქალაქე აგრძელებს სავალდებულო კარანტინში ყოფნას.

საკარანტინე ზონების მოწყობა სასტუმროებში - უკვე დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე უპრეცედენტო პროექტად და მიჩნეულ იქნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მხრიდან ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად ვირუსის პრევენციის კუთხით. საკარანტინე სივრცეებმა შეასრულა ე.წ. ფილტრის ფუნქცია, როგორც ჩვენი, ადგილობრივი მოქალაქეების დაცვის კუთხით, ასევე დააზღვია ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობა, რომლებიც ეტაპობრივად ბრუნდებოდნენ საქართველოში. საკარანტინე ზონებმა უზრუნველყო და მინიმუმამდე დაიყვანა კორონავირუსის იმპორტი და გავრცელება ქვეყანაში, შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის პოზიციონირებას როგორც კოვიდ უსაფრთხო ტურისტულ მიმართულებას, რაც დღეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მარკეტინგული პრიორიტეტი ტურისტული მიმართულებისთვის.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის გუნდი სხვა უწყებებთან ერთად, 24 საათიან რეჟიმში დღესაც აგრძელებს საკარანტინე ზონებში სავალდებულო კარანტინში მყოფ პირებზე ზრუნვას. საკარანტინე ზონები მოიცავს მოქალაქეების სასტუმროებში განთავსება/დაბინავებას, კვებას, სივრცეების დეზინფექციას, კარანტინის რეჟიმის დასრულების შემდეგ მოქალაქეების ტრანსპორტირებას (სატრანსპორტო მომსახურება) საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ასევე, საკარანტინე სივრცეების მართვის, მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ვირუსის მასშტაბური გავრცელების პრევენციის მიზნით საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვას, როგორცაა სამედიცინო ტანსაცმელი, ინდივიდუალური თავდაცვისა და სადეზინფექციო საშუალებები.

2) სერვისის განვითარება და ახალი კორონავირუსის პირობებში ტურისტული მომსახურებების სტანდარტების შემუშავება- დანერგვა.

მნიშვნელოვან პრიორიტეტს, რომელზეც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აგრძელებს მუშაობას არის რეგიონში სერვისის განვითარება და უკვე ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - მომსახურების სფეროში უსაფრთხოდ ტურისტების მიღებისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა.

2020 წელს, დაგეგმილ ტრენინგების ფორმატში შევიდა ცვლილება და შემუშავდა კორონავირუსის პირობების გათალისწინებით სპეციალური სატრენინგო პროგრამა, რომელიც მოიცავს :

- ა) სერვისის გაუმჯობესების კუთხით დაგეგმილი ზოგადი სატრენინგო პროგრამა (გიდების, საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტების, სასტუმროების და ტურიზმის სფეროს სერვისების მიმწოდებელი სხვა ორგანიზაციებისათვის)
- ბ) ახალი კორონავირუსის პირობებში სტუმრების უსაფრთხოდ მიღებისთვის საჭირო სტანდარტების დანერგვისა და საინფორმაციო ტრენინგები.
- გ) სატრენინგო პროგრამებისთვის მიმდინარეობს სპეციალური ვებ-პლატფორმის შექმნა, სადაც სექტორის წარმომადგენლებს ელექტრონულად შეეძლება როგორც სატრენინგო მასალების მიღება, ისე ტრენინგებზე ელექტრონული რეგისტრაცია.
- დ) გიდების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიმდინარეობს ქობულეთისა და ბათუმის თემატური ტურების ორენოვანი, პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა.

საკარანტინო ზონებში უსაფრთხოდ ტურისტების მიღებისთვის საჭირო სტანდარტების დანერგვამ, რომელზეც ტურიზმის დეპარტამენტის გუნდი არსებული ადმინისტრაციული რესურსით 24 საათიან რეჟიმშია ჩართული ძალიან გაამარტივა ზოგადად სტანდარტების შემუშავების და დანერგვის პროცესი ტურიზმის სექტორში. შემუშავდა ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების ჯგუფის მიერ, ჩვენი ჩართულობით და სექტორთან ერთად, მუდმივი დისკუსიის რეჟიმში ტურიზმის სფეროს (განთავსება, კვება, პლაჟი და

სხვა) ამოქმედების და სტუმრის უსაფრთხოდ მიღების სტანდარტები. ამ ეტაპზე აჭარის რეგიონში უკვე 180- ზე მეტი განთავსების ობიექტმა გაიარა შემოწმება და სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს. სტანდარტების დანერგვა არის პროცესი და გრძელდება მუდმივად.

3) ტურისტული პროდუქტების განვითარება და ტურისტულ მარშრუტებზე მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა

ტურისტული პროდუქტების განვითარების კუთხით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. ახალი კორონავირუსის პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი საერთაშორისო ფრენები, ყველა ქვეყანა მოუწოდებს თავის მოქალაქეებს იმოგზაურონ ქვეყნის შიგნით. საქართველოშიც შიდა ტურიზმის სტიმულირება 2020 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მიმდინარეობს:

- შიდა ტურიზმის სტიმულირების პროექტზე მუშაობა, რომლის ფარგლებშიც აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში შეიქმნება ტურისტული კუთხით მიზიდულობის ადგილები და დისტანციის პრინციპით გათვალისწინებული აქტივობები, რომელიც ბათუმში ჩამოსული საქართველოს მოქალაქეებისთვის მოგზაურობას უფრო საინტერესოს გახდის.
- ასევე, მომზადდა და მალე ჩაემვება სოციალური მედია კამპანიები შიდა ტურიზმის სტიმულირებისთვის (სადაც აქცენტრირებული იქნება ახალი და საინტერესო სამოგზაურო შესაძლებლობები, რომლის შეთავაზებაც ჩვენს რეგიონს შეუძლია).
- მიმდინარეობს ჩირუხის ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტის მომზადება, რომელიც გულისხმობს ჩირუხის მთაში გამორჩეული, სახასიათო, უნიკალური და განსხვავებული ტურისტული პროდუქტისა და ინფრასტრუქტურის პროექტის შექმნას, რაც ჩირუხის მთას გახდის ტურისტებისთვის ახალი მიზიდულობის ცენტრს.
- მომზადდა ქობულეთის სოფლების ტურისტული პოტენციალის კვლევა, დაიგეგმა 2 ახალი ტურისტული მარშრუტის მარკირების პროექტი.
- მომზადდა ხულოს ცენტრთან ახლოსმდებარე სოფლების ტურისტული პოტენციალის კვლევა, დაიგეგმა 4 ახალი ტურისტული მარშრუტის მარკირების პროექტი.
- ჩატარდა სოფელ უჩხოში არსებული ჩანჩქერების (ხულოს მუნიციპალიტეტი) პოტენციალის კვლევა და დაიგეგმა კანიონიგისა და ჩანჩქერებზე დაშვების ბილიკების მოწყობა მიმდინარე წლისთვის.
- მიმდინარეობს ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლებში ტურისტული პოტენციალის კვლევა და მუნიციპალიტეტებს შორის გარდამავალი ბილიკების მარკირების პროექტების მომზადება.

- მიმდინარეობს ხიხანის ციხეზე (2063 მეტრი ზღვის დონიდან) მისასვლელი ბილიკის პროექტის მომზადება. ტურისტული ბილიკის დალაშქვრის გამარტივების მიზნით, ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო ციხეზე ასასვლელი ბილიკის გაფართოებას, მოაჯირების მონტაჟს და კიბეების მოწყობას გეგმავს. გარდა ამისა, იგეგმება ბილიკზე ტურისტულად მიმზიდველი, მამოტივირებელი მანიშნებლების, აქტივობების, მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა და ტურისტული ბილიკის მარკირება. მაგალითად, ბილიკის ლანდშაფტიდან გამომდინარე ინდივიდუალური დიზაინის მოსასვენებელი სკამების, საქანელებისა თუ მანიშნებლების დადგმა.
- დასრულდა ჩირუხის მთა- ხიხანის ციხე- გოდერძის უღელტეხილის ალპური მარშრუტის მარკირება- შეიქმნა რუკები, დამონტაჟდა მანიშნებლები და წელს უკვე მარშრუტი შეძლებს სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარული ჯგუფების მასპინძლობას. მარშრუტი აკავშირებს 2 მუნიციპალიტეტს ალპური ზონით, დატვირთულია ულამაზესი ხედებით, ველური ტბებით და ავთენტური დასახლებებით.
- აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო ამზადებს პროექტს გონიო-კვარიათი-სარფის მიმართულებით ლაზური თემატიკის ტურისტული პროდუქტის შექმნისთვის.
- მიმდინარეობს მუშაობა ხულოს მუნიციპალიტეტში გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მიმდებარე ტერიტორიებთან არსებული ნამარხი ტყეებისა და იქ არსებული სამკურნალო ტალახების ლაბორატორიული შესწავლის კუთხითაც
- ვაგრძლებთ მუშაობას ჭვანის ხეობის ტურისტული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის დაპროექტების სამუშაოებზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად.
- აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიმდინარეობს მაჭახლის ხეობაში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ეთნოსოფლის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ვიზიტორთა ცენტრისა და ზედა ჩხუტუნეთში პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მოწყობა(ჩართული ვართ პროექტში ფინანსთა სამინისტროსთან ერთად)
- მიმდინარეობს მუშაობა უკვე არსებული 15 მარკირებული ტურისტული მარშრუტის დახვეწისა და განვითარების კუთხითაც. იბეჭდება მარშრუტების ინდივიდუალური რუკები და საინფორმაციო დაფები.
- დაგეგმილია ახალი საოჯახო სასტუმრო სახლებისთვის მანიშნებლების დამზადება და მონტაჟი (80 მანიშნებელი)
- განახლდა ბათუმის ფასდაკლების ბარათი - Batumi Card, რომელიც აერთიანებს 60- ზე მეტ ტურისტულ ობიექტში 15 -50% -იან ფასდაკლებებს

და მოიცავს ტურისტებისთვის საინტერესო თითქმის ყველა ობიექტს აჭარის რეგიონში.

- განახლდა საინფორმაციო სტენდების პროექტი , რაც გულისხმობს ბათუმსა და აჭარის სხვა მუნიციპალიტეტების ტურისტულ ობიექტზე საინფორმაციო სტენდების მოწყობას (უკვე არის 80 მეტი ობიექტი), სადაც განთავსებულია სპეციალური საინფორმაციო სტენდები და ხდება მათი მუდმივი მომარაგება აჭარის ტურისტული ბროშურებით.
- მზადდება ქალაქის ტერიტორიისთვის 4 დიდი ლაითბოქსი, რომელზეც განთავსებული იქნება ქალაქის ტურისტული რუკა
- მიმდინარეობს მთიანი აჭარის ტურისტული პოტენციალის და ტურისტული მარშრუტების ვებგვერდის მომზადება, სადაც თავმოყრილია მთიან აჭარაში არსებული ყველა მოქმედი ტურისტული მარშრუტი, რუკით და მოგზაურობისთვის საჭირო პრაქტიკული ინფორმაციით.
- მიმდინარეობს ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მარტივი ვებპლათფორმის შექმნა- რომლის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს (იგულისხმება ადგილობრივი ტურიზმის სექტორში ჩართული პირები), ელექტრონულად, მუდმივ რეჟიმში შეეძლება რეგიონში არსებული ტურისტული ობიექტების ბაზების ჩამოტვირთვა.

4) რეგიონის მარკეტინგი და პოპულარიზაცია საერთაშორისო და სამიზნე ბაზრებზე

იმ პირობებში, როდესაც მთელ მსოფლიოში და ჩვენს სამიზნე ქვეყნებში ფრენები ჯერ კიდევ შეზღუდულია, სახმელეთო მეზობელ ქვეყნებში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ძალიან რთულია, განვითარებული ტურისტული მიმართულებებიც კი თავს არიდებს ტურიზმის სტუმმულირების და მარკეტინგული კამპანიების წარმოებას, რა თქმა უნდა ჩვენი მხრიდანაც გაურკვეველ და დაუზუსტებელ სიტუაციაში საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების გაგრძელება ვერ იქნებოდა მიზანშეწონილი. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა 2020 წლისთვის დაგეგმილი საერთაშორისო მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება მხოლოდ იანვარ - თებერვლის პერიოდში შეძლო. რეგიონის პოზიციონირება და პოპულარიზაცია 10-ზე მეტ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე უკვე განხორციელდა. (იანვარ-თებერვალში)

მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საერთაშორისო პიარ და მარკეტინგული კამპანიებისთვის განსაზღვრულ ბიუჯეტსა და პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები და საჭიროებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი მიმართულ იქნა საკარანტინე ზონების მართვისთვის.

საერთაშორისო მარკეტინგული აქტივობებისათვის, რეგიონის და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის და პოზიციონირების უკვე არსებულ ძირითად მესიჯებს (ბუნება, კულტურა, ტრადიციები, კულინარია, სტუმართმასპინძლობა, ღვინო და ა.შ)

დაემატა უსაფრთხო ტურისტულ მიმართულებად პოზიციონირება, რაც დღეს უკვე ტურიზმის ინდუსტრიისთვის არის ყველაზე დიდი პრიორიტეტი შექმნილ კონკურენტულ გარემოში.

საქართველოს ევროპის ქვეყნებში ყველაზე დაბალი კოვიდ სტატისტიკა აქვს და სამაგალითოდ მართავს ეპიდ სიტუაციას. აჭარის რეგიონი გამოცხადდა მწვანე ზონად, რაც ტურისტული მიმართულებისთვის განსაკუთრებული პრიორიტეტია და დღეს ყველა მოგზაური, პირველ რიგში სამოგზაურო მიმართულების შერჩევისას მთავარ ფაქტორად სწორედ უსაფრთხოების კომპონენტს მიიჩნევს. ამიტომაც, ჩვენი რეგიონი და ქვეყანა მოექცა ტურიზმის ინდუსტრიის, პოპულარული ონლაინ პლატფორმებისა და მედიის ყურადღების ცენტრში.

მიუხედავად ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მარკეტინგისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურები აგრძელებს ჩვენს სამიზნე ქვეყნებში პარტნიორებთან მუშაობას.

ევროპაში პოპულარულმა სამოგზაურო პლატფორმამ European Best Destinations ბათუმი ევროპაში ყველაზე უსაფრთხო ტურისტული მიმართულებების ტოპ ათეულში დაასახელა. European Best Destinations-ის 20 ყველაზე უსაფრთხო სამოგზაურო მიმართულებებად ბათუმთან ერთად დასახელებულია თბილისი, კორფუ, ზაგრები, ვარშავა, ვენა, ვილნიუსი, გდანსკი, რიგა და ა.შ.

მარკეტინგული აქტივობების ფარგლებში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა აქტიურად განახორციელა ბათუმის, როგორც ტურისტულად უსაფრთხო მიმართულების პოზიციონირება 10-ზე მეტ სამიზნე ქვეყანაში. შედეგად, სტატიები ბათუმის, როგორც უსაფრთხო ტურისტული მიმართულების შესახებ ისეთ პოპულარულ ონლაინ გამოცემებში გამოქვეყნდა, როგორებიცაა Emerging Europe, ფორბსი, ინტერფაქსი, Travel News, Where Minsk და სხვა 40-ზე მეტი ონლაინ გამოცემა.

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად მიმდინარეობს უსაფრთხო სტატუსისა და იმიჯის განმტკიცებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, ტურიზმის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის მომსახურების სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, სამიზნე და ტრადიციულ ბაზრებთან მუშაობა ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობასთან ერთად ქვეყნებს შორის ე.წ. მწვანე კორიდორების მოწყობისა და ტურისტების გაცვლის მიზნით. საქართველოში უკვე გაიხსნა შიდა ტურიზმი 2020 წლის 15 ივნისიდან. მიმდინარეობს არასტანდარტული - უჩვეულო ტურისტული სეზონი, კერძო სექტორთან ერთად ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების უსაფრთხო მასპინძლობისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მომსახურების სფეროში უსაფრთხო სტანდარტების დანერგვა.


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები	
ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ბიუჯეტი
საკარანტინე ზონების ორგანიზება	7 300 000
სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზება ტუროპერატორების, მედია საშუალებების სხვადასხვა წარმომადგენლის, ექსპერტებისა და ტურიზმის ინდუსტრიის სხვა წამომადგენლებისთვის (იანვარი-თებერვალი)	3772
სხვადასხვა ქვეყანაში სარეკლამო და პიარ კამპანიებთან, ასევე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, კონგრესებში, ფესტივალებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობასთან დაკავშირებული მივლინებების ხარჯები (იანვარი-თებერვალი)	100,185
საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, ფესტივალებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, ასევე აჭარის რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებში პრეზენტაციებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება (იანვარი-თებერვალი)	152,335
სხვადასხვა სარეკლამო საშუალებით რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით	425,000
სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალის დამზადება- ბეჭდვა	2,950
ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია და განვითარება (მარშრუტების მარკირების პროექტები, მანიშნებლები, საინფორმაციო დაფები, ახალი ტურისტული პროდუქტების კვლევა და მარშრუტებზე მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა)	300,000
ტურისტულ ობიექტებში საინფორმაციო სტენდების დამზადება - განთავსება	9,000
ორმხვრივად განათებული რუკების განთავსება (ლაითბოქსი)	20,000
მარშრუტების რუკების, ბროშურების და სხვა ტურისტული საინფორმაციო მასალების ბეჭდვა	60,000

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიზანმიმართული სატრენინგო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება	27,900
ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება მომსახურების ხარისხის ამაღლების კუთხით	90,000
საინფორმაციო ბროშურებისა (მათ შორის, გიდების სახელმძღვანელოების, საოჯახო სასტუმრო სახლების სარეკომენდაციო სტანდარტების სახელმძღვანელოს) და სხვა მასალების მომზადება-ბეჭდვა	84000
ერთიანი ონლაინ პლატფორმის შექმნა ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სერვისის განვითარებისათვის	4,800
აჭარის ა.რ. ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა	32,974

გისურვებთ ჯანმრთელობას !

პატივისცემით

თინათინ ზოიძე



დეპარტამენტის თავმჯდომარე

